თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2024 წლის 15 ნოემბრის სხდომის

ო ქ მ ი N 3

2024 წლის 15 ნოემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, ვალერიან ვაშაკიძე, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ვაჟა კიკნაძე, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შექმნა;**
2. **ინსტიტუტის მომავალი ხუთწლიანი (2025-2029 წწ.) სამეცნიერო საქმიანობის გეგმის შემუშავება.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა, ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის წევრთა კანდიდატურები:

ლევან გორდეზიანი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ვალერიან ვაშაკიძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი;

ლიანა ბითაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ლიანა ბითაძემ, როლანდ თოფჩიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

ლავრენტი ჯანიაშვილმა კომისიის თავმდომარედ წამოაყენა ლევან გორდეზიანის კანდიდატურა; კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ვალერიან ვაშაკიძის კანდიდატურა; კომისიის მდივნად - ლიანა ბითაძის კანდიდატურა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ლევან გორდეზიანი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ვალერიან ვაშაკიძე, კომისიის მდივნად - ლიანა ბითაძე.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის მომავალი ხუთწლიანი (2025-2029 წწ.) სამეცნიერო საქმიანობის გეგმის შემუშავება.

გიორგი ჭეიშვილი: საბჭოს სხდომაზე განყოფილებების ხელმძღვანელებს უნდა წარმოედგინათ მომავალი ხუთწლიანი საქმიანობის გეგმა. გთხოვთ, გაგვაცნოთ, როგორ მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** როლანდ თოფჩიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლიანა ბითაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, გიორგი ჭეიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ და სხვა.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ მომავალი ხუთწლიანი პროექტის ფარგლებში დამუშავდეს თემები: გენდერი და საზოგადოება; სოციალური და ეკონომიკური

ვითარება უძველესი დროიდან დღემდე ან დაისახოს საერთო სტრატეგიული მნიშვნელობის ინსტიტუციური მიმართულება.

ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ უმჯობესია, განყოფილებებმა აირჩიონ თემატიკა, შეიმუშავონ მომავალი ხუთწლიანი სამეცნიერო საქმიანობის გეგმა და 15 დეკემბრისათვის განსახილველად წარუდგინონ დირექციასა და სამეცნიერო საბჭოს.

სხდომამ დაადგინა:

1. **შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია შემდეგი შემადგენლობით:**

   ლევან გორდეზიანი – კომისიის თავმჯდომარე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
   ვალერიან ვაშაკიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი;
   ლიანა ბითაძე - კომისიის მდივანი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

2. **განყოფილებებმა აირჩიონ თემატიკა, შეიმუშავონ მომავალი ხუთწლიანი სამეცნიერო საქმიანობის გეგმა და ხელმძღვანელებმა 15 დეკემბრისთვის განსახილველად წარუდგინონ დირექციასა და სამეცნიერო საბჭოს.**

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

15. 11. 2024

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2024 წლის 15 ნოემბრის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი